აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

ოქმი 2 | 20 მარტი 2024 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ (09-01-08/59, 21.02.2024)

გამარტივებული წესით განხილვა

დასახელება

ავტორი	ინიციატორი
უმაღლესი საბჭოს წევრები: დავით გაბაიძე ვლადიმერ მგალობლიშვილი	უმაღლესი საბჭოს წევრები: დავით გაბაიძე ვლადიმერ მგალობლიშვილი

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი

წამყვანი კომიტეტი

უმაღლესი საბჭოსთვის წარდგენის თარიღი	კომიტეტის სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი	სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი
21.02.2024 წელი	წამყვანი კომიტეტი -09.04.2024 წელი სხვა კომიტეტები -03.04.2024 წელი	საგაზაფხულო სესია

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი

კომიტეტები, რომელთა დასკვნები სავალდებულოა

უმაღლესი საბჭოს ბიურო ადგენს:
უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და ფრაქციებში დაიწყოს სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე — დავით გაბაიძე

საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №37

საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს

ბატონ გიორგი ბერიძეს

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-18 მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 84-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოვადგენთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტს – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ".

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს ბიუროს მივმართავ თხოვნით წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტის გამარტივებული წესით - ერთი მოსმენით განხილვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.

გთხოვთ, რეგლამენტის პროექტს მისცეთ შესაბამისი მსვლელობა.

დანართი: -10- ფურცელი

01-08/59
21.02.2024
11.

პატივისცემით,

დავით გაბაიძე

ვლადიმერ მგალობლიშვილი

<u>პროექტი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

რეგლამენტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 10.04.2019, სარეგისტრაციო კოდი: 010240080.51.056.016040) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. უმაღლესი საბჭოს ჯილდოები

1. უმაღლეს საბჭოში დაწესებულია შემდეგი ჯილდოები:

ა) უმაღლესი საბჭოს ორდენი;

ბ) უმაღლესი საბჭოს მედალი;

გ) უმაღლესი საბჭოს სამკერდე ნიშანი.

2. უმაღლესი საბჭოს ორდენით ჯილდოვდება საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს მოქალაქე, უმაღლესი საბჭოს, როგორც ინსტიტუციის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

3. უმაღლესი საბჭოს მედლით ჯილდოვდება უმაღლესი საბჭოს აპარატის თანამშრომელი უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

4. უმაღლესი საბჭოს სამკერდე ნიშნით შეიძლება დაჯილდოვდეს უმაღლესი საბჭოს აპარატის თანამშრომელი უმაღლეს საბჭოში არანაკლებ 25-წლიანი წარმატებული სამსახურისთვის.

5. უმაღლესი საბჭოს ორდენით პირის დაჯილდოების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე უმაღლესი საბჭოს ბიუროსთან შეთანხმებით, ხოლო უმაღლესი საბჭოს მედლით ან უმაღლესი საბჭოს სამკერდე ნიშნით პირის დაჯილდოების შესახებ გადაწყვეტილებას – უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

6. უმაღლესი საბჭოს ორდენით, უმაღლესი საბჭოს მედლითა და უმაღლესი საბჭოს სამკერდე ნიშნით დაჯილდოების წესს და ფულადი ჯილდოს ოდენობას, აგრეთვე უმაღლესი საბჭოს ორდენის, უმაღლესი საბჭოს მედლისა და უმაღლესი საბჭოს სამკერდე ნიშნის აღწერილობებს ბრძანებით ადგენს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.“.

2. მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ვადები, რომლებიც ამ რეგლამენტით დღეებით არის განსაზღვრული გულისხმობს სამუშაო დღეებს, გარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით განსაზღვრული ვადებისა და კანონითა და ამ რეგლამენტით პირდაპირ გათვალისწინებული კალენდარული დღეებისა. ამ რეგლამენტით დღეებით განსაზღვრული ვადების ათვლისას არ იანგარიშება შესაბამისი ვადის ათვლის პირობის წარმოშობის დღე, გარდა ამავე რეგლამენტით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

3. უმაღლესი საბჭოს სესიებს შორის პერიოდში ამ რეგლამენტის X თავით განსაზღვრული ვადის დინება ჩერდება, გარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით გათვალისწინებული ვადისა. უმაღლესი საბჭოს ბიურო უფლებამოსილია

მიიღოს გადაწყვეტილება უმაღლესი საბჭოს სესიებს შორის პერიოდში ამ რეგლამენტის X თავით განსაზღვრული ვადების დინების გაგრძელებისა და საკითხის განხილვის თაობაზე.".

3. მე-8 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში უმაღლესი საბჭოს წევრზე არ ვრცელდება წევრამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურსა და სამობილიზაციო სარეზერვო სამხედრო სამსახურში გაწვევის მოთხოვნა.".

4. 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) უზრუნველყოფს სხვა სახელმწიფოში წარგზავნილი უმაღლესი საბჭოს დელეგაციების ანგარიშების მოსმენას უმაღლესი საბჭოს ბიუროს სხდომაზე;".

5. 86-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 პუნქტი:

„9. თუ კანონპროექტის უმაღლესი საბჭოს მიერ განხილვისათვის მომზადება დადგენილ ვადაში ვერ ხერხდება/მოხერხდა, მისი განხილვისათვის დადგენილ ვადას საჭიროების შემთხვევაში გააგრძელებს უმაღლესი საბჭოს ბიურო.".

6. 94-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. კანონპროექტის მეორე მოსმენისას უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე იგი განიხილება ქვეპუნქტების, პუნქტების, მუხლების ან/და თავების მიხედვით და კენჭი ეყრება ერთიანად. უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე კანონპროექტის მეორე მოსმენისას მისი განხილვის ფორმის (ქვეპუნქტების, პუნქტების, მუხლების ან/და თავების მიხედვით განხილვის) შესახებ გადაწყვეტილებას წამყვანი კომიტეტის თავმჯდომარის, ხოლო წამყვანი კომიტეტის თავმჯდომარის არყოფნისას მისი მოადგილის წინადადების საფუძველზე იღებს სხდომის თავმჯდომარე.".

მუხლი 2. ეს რეგლამენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე

ბათუმი,
2024 წლის
№

განმარტებითი ბარათი
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტზე – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია რეგლამენტის პროექტის შესახებ:

ა.ა) რეგლამენტის პროექტის მიღების მიზეზი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით უმაღლეს საბჭოში დაწესებულია უმაღლესი საბჭოს მედალი, რომელიც გადაეცემა საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს მოქალაქეს, უმაღლესი საბჭოს, როგორც ინსტიტუციის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის. უმაღლესი საბჭოს მედლით ასევე ჯილდოვდება უმაღლესი საბჭოს აპარატის თანამშრომელი უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

პიროვნების დამსახურებაზე დაფუძნებული ღვაწლის აღიარების ზოგადი პრაქტიკის გათვალისწინებით მიზანშეწონილია, ერთმანეთისგან გაიმიჯნოს უმაღლესი საბჭოს მედლის მიმღები სუბიექტები. შესაბამისად, ჯილდოს დამსახურებისთვის ერთმანეთისგან შინაარსობრივად განსხვავებული შედეგების დადგომისას სასურველია არსებობდეს სხვადასხვა სახის ჯილდოები.

გარდა ამისა, კვალიფიციური და ხანგრძლივად მომუშავე თანამშრომლის გამოცდილება და პროფესიონალიზმი ხშირად მისაბაძია შედარებით ახალი თანამშრომლებისათვის, გამოცდილების გაზიარება კი ახალი, კვალიფიციური და პროფესიონალი კადრების გამოვლენასა და ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ამასთანავე, ის ახალი მეთოდები და იდეები, რომლებიც გამოუცდელი კადრების გაჩენასთან ერთად გროვდება, სწორედ გამოცდილებით იფილტრება და საბოლოოდ სრულყოფილ და ჯანსაღ სამუშაო ატმოსფეროს ქმნის.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ერთი მხრივ, რეგლამენტის პროექტი მიზნად ისახავს უმაღლეს საბჭოში დაწესდეს ახალი სახის ჯილდოები, როგორიცაა უმაღლესი საბჭოს ორდენი და უმაღლესი საბჭოს სამკერდე ნიშანი. მეორე მხრივ, რეგლამენტის პროექტით, უმაღლესი საბჭოს ჯილდოთი დაჯილდოებულ პირს გადაეცემა ფულადი ჯილდოც, რომლის ოდენობას (თითოეული ჯილდოსთვის ცალ-ცალკე) დაადგენს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტით გათვალისწინებული უმაღლესი საბჭოს ჯილდოების მიმღები სუბიექტები იქნებიან: უმაღლესი საბჭოს ორდენი - გადაეცემა საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს მოქალაქეს უმაღლესი საბჭოს, როგორც ინსტიტუციის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის; უმაღლესი საბჭოს მედალი - გადაეცემა უმაღლესი საბჭოს აპარატის თანამშრომელს უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის; უმაღლესი საბჭოს სამკერდე ნიშანი გადაეცემა უმაღლესი საბჭოს აპარატის თანამშრომელს უმაღლეს საბჭოში არანაკლებ 25 წლიანი წარმატებული სამსახურისთვის.

უმაღლესი საბჭოს აპარატთან მიმართებაში აღნიშნული მექანიზმების არსებობა, რომელიც ითვალისწინებს, რომ თანამშრომლების დაჯილდოებით განხორციელდეს მათი წამახალისებელი ღონისძიება და ამ პირთა მრავალწლიანი შრომა და სანიმუშო და პირნათელი სამსახურებრივი მოღვაწეობა სათანადოდ იქნეს აღიარებული, ხელს შეუწყობს კვალიფიციური კადრების უმაღლესი საბჭოს აპარატში დამაგრებას, მათი მოტივაციის შენარჩუნებასა და ამაღლებას, ამასთანავე, მისი ეფექტი თვალსაჩინო და სამაგალითო იქნება სხვა თანამშრომლებისათვის.

გამოცდილების მქონე კადრისათვის მისი მრავალწლიანი მოღვაწეობა მნიშვნელოვანი და საამაყოა. შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში აპარატის თანამშრომლისათვის ჯილდოს კიდევ ერთი სახეობის გაჩენის მიზანია თანამშრომელთა დამსახურების ხაზგასმა. ამგვარი ტრადიციისა და ერთგვარი ინსტიტუციური მეხსიერების დანერგვა უმაღლესი საბჭოს აპარატს სტაბილური განვითარებისათვის დამატებით სტიმულს მისცემს. სტაჟის გათვალისწინებით თანამშრომელთა დაჯილდოების პრაქტიკა უცხო არ არის, როგორც საქართველოს, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამსახურისთვის.

უმაღლესი საბჭოს საქმიანობის პრაქტიკაში პერიოდულად იკვეთება საკითხები, რომლებიც საკანონმდებლო დონეზე საჭიროებენ დაზუსტებას ან ახლებურ რეგულირებას. ამ მიზნით, რეგლამენტში პერიოდულად ხორციელდება ცვლილებები საკანონმდებლო პროცესის უფრო ეფექტიანად განხორციელების, ასევე უმაღლესი საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებული ნორმებისა და რეგულაციების დახვეწის თვალსაზრისით. აღნიშნულიდან გამომდინარე ცვლილებების მეორე ნაწილი ერთი მხრივ ეთმობა უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის ცალკეული ნორმების დახვეწას, ხოლო მეორე მხრივ - გამომდინარეობს საქართველოს კანონიდან - თავდაცვის კოდექსი.

ა.ბ) რეგლამენტის პროექტის მიზანი;

პროექტის მიზანია, უმაღლეს საბჭოში დაწესდეს ახალი სახის ჯილდოები, როგორიცაა უმაღლესი საბჭოს ორდენი და უმაღლესი საბჭოს სამკერდე ნიშანი. ერთმანეთისგან გაიმიჯნოს უმაღლესი საბჭოს მედლის მიმღები სუბიექტები. უმაღლესი საბჭოს ჯილდოთი დაჯილდოებული პირისთვის დაწესდეს ფულადი ჯილდოს გადაცემის შესაძლებლობაც, რომლის ოდენობას (თითოეული ჯილდოსთვის ცალ-ცალკე) დაადგენს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

პროექტის მიზანს ასევე წარმოადგენს, უმაღლესი საბჭოს აპარატის თანამშრომელთა ნამსახურობის პატივისცემისა და პროფესიონალიზმის ხაზგასმა, აგრეთვე მათი გამოცდილების აღიარება, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს კვალიფიციური კადრების უმაღლეს საბჭოში თავმოყრის პროცესს.

პროექტის მიზანია, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებული ცალკეული ნორმების დახვეწა, ასევე თავდაცვის ახალი კოდექსის შესაბამისი ნორმების უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ასახვა.

ა.გ) რეგლამენტის პროექტის არსი;

პროექტის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის:

1. მე-4 მუხლი ყალიბდება ახალი რედაქციით, რომლის თანახმად:

- უმაღლეს საბჭოში დაწესდება შემდეგი ჯილდოები: უმაღლესი საბჭოს ორდენი; უმაღლესი საბჭოს მედალი; უმაღლესი საბჭოს სამკერდე ნიშანი;

- უმაღლესი საბჭოს ორდენით დაჯილდოვდება საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს მოქალაქე, უმაღლესი საბჭოს, როგორც ინსტიტუციის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის;

- უმაღლესი საბჭოს მედლით დაჯილდოვდება უმაღლესი საბჭოს აპარატის თანამშრომელი უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის;

- უმაღლესი საბჭოს სამკერდე ნიშნით შესაძლებელი იქნება უმაღლესი საბჭოს აპარატის იმ თანამშრომლის დაჯილდოება, რომელსაც აქვს უმაღლეს საბჭოში არანაკლებ 25-წლიანი წარმატებული სამსახურებრივი საქმიანობის გამოცდილება;

- უმაღლესი საბჭოს ორდენით პირის დაჯილდოების შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე უმაღლესი საბჭოს ბიუროსთან შეთანხმებით, ხოლო უმაღლესი საბჭოს მედლით ან უმაღლესი საბჭოს სამკერდე ნიშნით პირის დაჯილდოების შესახებ გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად მიიღებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე;

- უმაღლესი საბჭოს ორდენით, უმაღლესი საბჭოს მედლითა და უმაღლესი საბჭოს სამკერდე ნიშნით დაჯილდოების წესს და ფულადი ჯილდოს ოდენობას, აგრეთვე უმაღლესი საბჭოს ორდენის, უმაღლესი საბჭოს მედლისა და უმაღლესი საბჭოს სამკერდე ნიშნის აღწერილობებს ბრძანებით დაადგენს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

2. მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

ვადები, რომლებიც ამ რეგლამენტით დღეებით არის განსაზღვრული გულისხმობს სამუშაო დღეებს, გარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით განსაზღვრული ვადებისა და კანონითა და ამ რეგლამენტით პირდაპირ გათვალისწინებული კალენდარული დღეებისა. ამ რეგლამენტით დღეებით განსაზღვრული ვადების ათვლისას არ იანგარიშება შესაბამისი ვადის ათვლის პირობის წარმოშობის დღე, გარდა ამავე რეგლამენტით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

უმაღლესი საბჭოს სესიებს შორის პერიოდში ამ რეგლამენტის X თავით განსაზღვრული ვადის დინება ჩერდება, გარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით გათვალისწინებული ვადისა. უმაღლესი საბჭოს ბიურო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება უმაღლესი საბჭოს სესიებს შორის პერიოდში ამ რეგლამენტის X თავით განსაზღვრული ვადების დინების გაგრძელებისა და საკითხის განხილვის თაობაზე.

3. მე-8 მუხლის მე-6 პუნქტი, საქართველოს კანონის „თავდაცვის კოდექსი" 65-ე მუხლის პირველი ნაწილის „ქ" ქვეპუნქტისა და 108-ე მუხლის პირველი ნაწილის „კ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით ყალიბდება ახალი რედაქციით, რომლის თანახმად:

უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში უმაღლესი საბჭოს წევრზე არ ვრცელდება წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურსა და სამობილიზაციო სარეზერვო სამხედრო სამსახურში გაწვევის მოთხოვნა.

4. 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი" ქვეპუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით, რომლის თანახმად:

უმაღლესი საბჭოს ბიუროს სხდომაზე მოსმენილი იქნება სხვა სახელმწიფოში წარგზავნილი უმაღლესი საბჭოს დელეგაციების ანგარიშები.

5. 86-ე მუხლში განსახორციელებელი ცვლილებით:

თუ კანონპროექტის უმაღლესი საბჭოს მიერ განხილვისათვის მომზადება დადგენილ ვადაში ვერ ხერხდება/მოხერხდა, მისი განხილვისათვის დადგენილი ვადის გაგრძელების შესაძლებლობა ექნება უმაღლესი საბჭოს ბიუროს.

6. 94-ე მუხლის მე-3 პუნქტში შესატანი ცვლილებით:

კანონპროექტის მეორე მოსმენისას უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე იგი განიხილება ქვეპუნქტების, პუნქტების, მუხლების ან/და თავების მიხედვით და კენჭი ეყრება ერთიანად. უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე კანონპროექტის მეორე მოსმენისას მისი განხილვის ფორმის (ქვეპუნქტების, პუნქტების, მუხლების ან/და თავების მიხედვით განხილვის) შესახებ გადაწყვეტილებას წამყვანი კომიტეტის თავმჯდომარის, ხოლო წამყვანი კომიტეტის თავმჯდომარის არყოფნისას მისი მოადგილის წინადადების საფუძველზე იღებს სხდომის თავმჯდომარე.

ბ) რეგლამენტის პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) რეგლამენტის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

რეგლამენტის პროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯები დაფინანსდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

ბ.ბ) რეგლამენტის პროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

რეგლამენტის პროექტი არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) რეგლამენტის პროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

რეგლამენტის პროექტით გათვალისწინებული უმაღლესი საბჭოს ჯილდოსთან ერთად პირს გადაეცემა ფულადი ჯილდოც, რომლის კონკრეტული ოდენობა განისაზღვრება უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ბრძანებით. ხარჯების კონკრეტული ოდენობა დამოკიდებული იქნება აღნიშნული ჯილდოთი დაჯილდოებულ პირთა რაოდენობაზე, ჯილდოების დამზადების ხარჯებსა და ფულადი ჯილდოს ოდენობაზე.

ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები;

რეგლამენტის პროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) რეგლამენტის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება რეგლამენტის პროექტის მოქმედება;

რეგლამენტის პროექტი დადებით გავლენას მოახდენს იმ პირებზე და, შესაბამისად, მათ ფინანსურ მდგომარეობაზე, რომლებსაც გადაეცემათ უმაღლესი საბჭოს ჯილდო.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე რეგლამენტის პროექტის ზეგავლენის შეფასება:

რეგლამენტის პროექტი გავლენას არ ახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ[2]) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე რეგლამენტის პროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

რეგლამენტის პროექტს არ აქვს მოსალოდნელი ზეგავლენა გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ) რეგლამენტის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

გ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში;

ასეთი არ არსებობს

გ.ბ) რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება რეგლამენტის პროექტის მიმართ;

რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ) რეგლამენტის პროექტის ავტორი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები დავით გაბაიძე, ვლადიმერ მგალობლიშვილი.

ე) რეგლამენტის პროექტის ინიციატორი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები დავით გაბაიძე, ვლადიმერ მგალობლიშვილი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის იმ მუხლების მოქმედი სრული რედაქცია, რომლებშიც წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტით შედის ცვლილება

მუხლი 4. უმაღლესი საბჭოს მედალი

1. უმაღლესი საბჭოს მედალი გადაეცემა საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს მოქალაქეს, უმაღლესი საბჭოს, როგორც ინსტიტუციის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

2. უმაღლესი საბჭოს მედლით ასევე ჯილდოვდება უმაღლესი საბჭოს აპარატის თანამშრომელი უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული პირების უმაღლესი საბჭოს მედლით დაჯილდოების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე უმაღლესი საბჭოს ბიუროსთან შეთანხმებით.

4. უმაღლესი საბჭოს მედლით დაჯილდოების წესს და უმაღლესი საბჭოს მედლის აღწერილობას ბრძანებით ადგენს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

მუხლი 5. ვადების ათვლის წესი

1. ვადები, რომლებიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით დღეებით არის განსაზღვრული, გულისხმობს კალენდარულ დღეებს.

2. ვადები, რომლებიც ამ რეგლამენტით დღეებით არის განსაზღვრული გულისხმობს სამუშაო დღეებს, გარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით გათვალისწინებული ვადებისა და კანონითა და ამ რეგლამენტით პირდაპირ გათვალისწინებული კალენდარული დღეებისა.

3. სესიებს შორის პერიოდში რეგლამენტით გათვალისწინებული ვადის დინება ჩერდება, გარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით გათვალისწინებული შემთხვევისა. უმაღლესი საბჭოს ბიურო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სესიებს შორის პერიოდში ვადების დინების გაგრძელებისა და საკითხის განხილვის თაობაზე.

მუხლი 8. უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსის სხვა საქმიანობასთან შეთავსება

1. უმაღლესი საბჭოს წევრს უფლება არ აქვს ეკავოს რაიმე თანამდებობა საჯარო სამსახურში ან ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას.

2. სამეწარმეო საქმიანობასთან უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსის შეუთავსებლობის მოთხოვნები არ ხელყოფს საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ საკუთრების უფლებას. ის შეიძლება ფლობდეს აქციებს, წილს და სხვა ქონებას.

3. უმაღლესი საბჭოს წევრს უფლება არ აქვს:

ა) უშუალოდ განახორციელოს არაერთჯერადი საქმიანობა მოგების მიზნით მატერიალური ფასეულობებისა და ფინანსური საშუალებების სამართავად;

ბ) უშუალოდ განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის მუდმივმოქმედი ხელმძღვანელის, სამეთვალყურეო, საკონტროლო, სარევიზიო ან/და საკონსულტაციო ორგანოს წევრის უფლებამოსილებანი.

4. უმაღლესი საბჭოს წევრი შეიძლება ეწეოდეს საზოგადოებრივ საქმიანობას. უმაღლესი საბჭოს წევრი შეიძლება ეწეოდეს სამეცნიერო, პედაგოგიურ და სახელოვნებო საქმიანობას, თუ ეს საქმიანობა არ ითვალისწინებს ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებას. ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულება გულისხმობს სამეცნიერო, სასწავლო, სახელოვნებო დაწესებულებებში თანამდებობის პირის მიერ საკადრო,

დისციპლინურ და სხვა საკითხებზე ადმინისტრაციული გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას.

5. უმაღლესი საბჭოს წევრი იმავდროულად შეიძლება ეწეოდეს პარტიულ საქმიანობას, ეკავოს ნებისმიერი თანამდებობა პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

6. უმაღლესი საბჭოს წევრის სამხედრო სავალდებულო და სამხედრო სარეზერვო სამსახურისადმი დამოკიდებულება განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 25. უმაღლესი საბჭოს ბიუროს უფლებამოსილებები

1. უმაღლესი საბჭოს მუშაობის ორგანიზებისთვის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით დადგენილი შემადგენლობით იქმნება უმაღლესი საბჭოს ბიურო.

2. უმაღლესი საბჭოს ბიურო რეგლამენტით დადგენილი წესით:

ა) შეიმუშავებს და უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს პლენარული სხდომის დღის წესრიგის პროექტს. უზრუნველყოფს კანონის, დადგენილების, რეზოლუციის, მიმართვის, უმაღლესი საბჭოს მიერ მისაღები სხვა აქტის პროექტის, აგრეთვე კომიტეტის, დროებითი კომისიის დასკვნების საფუძველზე საკითხის უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანას;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე განსახილველი კანონპროექტების შესახებ დასკვნებს, კომიტეტებისა და დროებითი კომისიების დასკვნებს, რეზოლუციებისა და მიმართვების პროექტებს;

გ) განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას კანონპროექტის დაჩქარებული ან/და გამარტივებული წესით განხილვის შესახებ;

დ) განიხილავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დამტკიცებისა და სხვა თანამდებობის პირთა თანამდებობაზე განწესების თაობაზე შესაბამისი კომიტეტების დასკვნებს;

ე) ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის მიერ წარმოდგენილ კომიტეტებში, დროებით კომისიებში და ეთიკის საბჭოში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს;

ვ) ამტკიცებს კომიტეტების და დროებითი კომისიების დებულებებს;

ზ) რეგლამენტით დადგენილი წესით წყვეტს ფრაქციების რეგისტრაციის საკითხებს;

თ) იღებს გადაწყვეტილებას პირის ლობისტად რეგისტრაციის შესახებ;

ი) უზრუნველყოფს სხვა სახელმწიფოში წარგზავნილი უმაღლესი საბჭოს დელეგაციებისა და უმაღლესი საბჭოს წევრების ანგარიშების მოსმენას უმაღლესი საბჭოს ბიუროს სხდომაზე;

კ) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს ხაზინადართა საბჭოს გადაწყვეტილებებს;

ლ) ამტკიცებს ბიუროს მუშაობის რეგლამენტს;

მ) (ამოღებულია - 05.09.2023, №80-IIს);

ნ) რეგლამენტით დადგენილი წესით ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს წევრის სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული თანხის ოდენობას;

ო) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით უმაღლესი საბჭოსათვის განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში განიხილავს და ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის დეტალურ განწერას და ცვლილებები შეაქვს მასში. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის დეტალურ განწერაში ცვლილება, რომელიც დაკავშირებულია უმაღლეს საბჭოში დასაქმებული პირის დროებითი შრომისუუნარობის გამო გასაცემი თანხის გადატანასთან, ხორციელდება უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის

ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით. აღნიშნულ ინფორმაციას უმაღლესი საბჭოს ბიურო ცნობად იღებს უახლოეს სხდომაზე, ხოლო ცვლილება აისახება უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის დეტალურ განწერაში;

პ) იღებს გადაწყვეტილებებს უმაღლესი საბჭოს და მისი მუშაობის ცალკეულ ორგანიზაციულ საკითხებზე;

ჟ) ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს ლოგოს და მისი გამოყენების წესს;

რ) ეთიკის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს ეთიკის საბჭოს დებულებას;

ს) ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს ცალკეული წევრებისა და უმაღლესი საბჭოს დელეგაციების საზღვარგარეთ მივლინებაში წარგზავნის წესს;

ს[1]) ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის სამოქმედო გეგმას;

ტ) ახორციელებს რეგლამენტითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 86. კანონპროექტის განსახილველად მიღება და მომზადება საკომიტეტო მოსმენისთვის

1. საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტის მიერ მომზადებული და უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენილი კანონპროექტი მატერიალური დოკუმენტის სახით გადაეცემა უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისაწარმოების დეპარტამენტს, რომელიც აღრიცხავს და რეგისტრაციაში ატარებს მას.

2. საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტის მიერ მომზადებული კანონპროექტის უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენის თარიღად მიიჩნევა მისი უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტში რეგისტრაციის თარიღი.

3. უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისაწარმოების დეპარტამენტის მიერ რეგლამენტის 85-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად უმაღლესი საბჭოს ბიუროსთვის გადაცემულ კანონპროექტს უნდა ერთოდეს უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვისა და საორგანიზაციო და საქმისაწარმოების დეპარტამენტების მიერ მომზადებული კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილების პროექტი, რომელშიც მითითებულია:

ა) კანონპროექტის დასახელება;

ბ) კანონპროექტის ინიციატორი;

გ) კანონპროექტის ავტორი;

დ) კანონპროექტის უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენის თარიღი;

ე) წამყვანი კომიტეტი;

ვ) კანონპროექტის კომიტეტის სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი;

ზ) სხვა კომიტეტები, რომელთა დასკვნებიც უნდა ერთოდეს კანონპროექტს;

თ) კანონპროექტის უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი.

4. უმაღლესი საბჭოს ბიურო იღებს გადაწყვეტილებას კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ და ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ე"–„თ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საკითხების თაობაზე.

5. უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი ამოწმებს წარდგენილი კანონპროექტის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა" და „გ"-„ე" ქვეპუნქტებთან და მე-2-მე-3 პუნქტებთან შესაბამისობას. თუ წარდგენილი კანონპროექტი არ შეესაბამება „აჭარის

ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის ზემოაღნიშნული პუნქტების მოთხოვნებს, უმაღლესი საბჭოს ბიურო უფლებამოსილია უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მოტივირებული დასკვნის საფუძველზე კანონპროექტი ხარვეზის გამოსასწორებლად დაუბრუნოს მის ინიციატორს.

6. თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე მოითხოვს კანონპროექტის რიგგარეშე განხილვას, კანონპროექტის უმაღლეს საბჭოში განხილვის ვადებს განსაზღვრავს უმაღლესი საბჭოს ბიურო და გადასცემს მას შესაბამის კომიტეტებს.

7. უმაღლესი საბჭოს ბიუროს მიერ კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ კანონპროექტი განსახილველად გადაეცემა კომიტეტებს, ფრაქციებს, უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელ წევრებს, უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს, აგრეთვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს, და განთავსდება უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.

8. უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებულ კანონპროექტთან ან მის ცალკეულ მუხლებთან/პუნქტებთან დაკავშირებით, საჯარო კონსულტაციების მიღების მიზნით, ნებისმიერ პირს შეუძლია დააფიქსიროს თავისი მოსაზრება/შენიშვნა კომენტარის სახით.

მუხლი 94. კანონპროექტის სამი მოსმენით განხილვის წესი

1. უმაღლესი საბჭო წამყვანი კომიტეტის სხდომის შემდეგ კანონპროექტს განიხილავს სამი მოსმენით, გარდა რეგლამენტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. კანონპროექტის პირველი მოსმენისას უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე განიხილება მისი ზოგადი პრინციპები და ძირითადი დებულებები.

3. კანონპროექტის მეორე მოსმენისას უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე იგი განიხილება ქვეპუნქტების, პუნქტების, მუხლების ან/და თავების მიხედვით და კენჭი ეყრება ერთიანად. უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე კანონპროექტის მეორე მოსმენისას მისი განხილვის ფორმის (ქვეპუნქტების, პუნქტების, მუხლების ან/და თავების მიხედვით განხილვის) შესახებ გადაწყვეტილებას წამყვანი კომიტეტის წინადადების საფუძველზე იღებს სხდომის თავმჯდომარე.

4. კანონპროექტის მესამე მოსმენისას მასში შესაძლებელია მხოლოდ რედაქციული ცვლილებების შეტანა.

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

22.02.2024
N 249

249-09-02-11-3-202402221426

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და
საქმისწარმოების დეპარტამენტის
უფროსს ბატონ გიორგი ბერიძეს

დასკვნა

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტის თაობაზე

(N09-01-08/59, 21.02.2024 წ. ინიციატორი: უმაღლესი საბჭოს წევრები - დავით გაბაიძე, ვლადიმერ მგალობლიშვილი)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 85-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტისა და 86-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ განხილულ იქნა ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი.

წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტი შეესაბამება ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

პატივისცემით,

მანანა ჯორბენაძე

დეპარტამენტის უფროსი - მ.შ.

იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი